იტალია

MINISTERO DELL'INTERNO

euaa
EUROPEAN UNION AGENCY FOR ASYLUM

შენი უფლებები და ვალდებულებები მიღების ეტაპზე

ეს ინფორმაცია არის შენთვის, თუ:

- **ხარ 18 წლამდე ასაკის**
- **შენ ჩამოხვედი მშობლების გარეშე, მარტო ან ოჯახის სხვა წევრებთან ერთად**
- **შენ აცნობე ხელისუფლებას, რომ გსურს თავშესაფრის (ასევე ცნობილი, როგორც საერთაშორისო დაცვის) მოთხოვნა იტალიაში.**

შენ ამ ქვეყანაში უსაფრთხოდ ხარ.

GEORGIAN

ევროპაში, ყველა 18 წლამდე ბავშვად ითვლება და აქვს უფლება მიიღოს **სპეციალური მხარდაჭერა**.

ვის შეუძლია შენი დახმარება?

რადგან აქ მშობლების გარეშე ხარ,შენს საჭიროებებში დაგეხმარება სხვა ზრდასრული პირი, რომელსაც **მეურვე** ეწოდება. ეს პირი დამოუკიდებელია ხელისუფლებისგან.

თუ ჯერ არ შეხვედრიხარ შენს მეურვეს, მას რაც შეიძლება მალე შეხვდებით.

მანამდე კი, ხელისუფლება დანიშნავს სხვა ზრდასრულ პირს, რომელიც მხარს დაუჭერს და წარმოადგენს შენს ინტერესებს.

როგორია მეურვის როლი?

შენი მეურვე აგიხსნის ყველაფერს, რაც უნდა იცოდე შენი აქ ყოფნის შესახებ და დაგეხმარება შენს კითხვებზე პასუხების პოვნაში.
სხვა თანამშრომლებიც დაგეხმარებიან ამ კითხვებზე პასუხის გაცემაში.

შენი მეურვე შენს საჭიროებებს ხელისუფლებას გააცნობს, მოგაწვდის რჩევებს და დაგეხმარება მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებაში.

შენ ყოველთვის შეგიძლია გამოხატო შენი საჭიროებები და გრძნობები და შენს მეურვეს შენი აზრი მიაწოდო.

თუ შენ გაქვს რაიმე პრობლემა შენს მეურვესთან, გთხოვთ, აცნობო ამის შესახებ პერსონალს.

ყოველთვის შეგიძლია სთხოვო ცენტრში მომუშავე უფროსებს დახმარება და მხარდაჭერა. ნუ შეგეშინდება, პრობლემებს ერთად გადავჭრით!

თარჯიმანი დაგეხმარება შენთვის გასაგებ ენაზე კომუნიკაციაში. მათი ფუნქციაა, ზუსტად თარგმნონ შენი და სხვისი სიტყვები.

რა უნდა გააკეთო, თუ გსურს ოჯახთან დაკავშირება?

თუ არ იცი, სად იმყოფებიან შენი საყვარელი ადამიანები ან დაკარგე მათთან კავშირი, ჩვენი თანამშრომლები დაგეხმარებიან მათ პოვნაში.

თუ ევროპაში ოჯახის წევრები გყავთ, მიმღები ცენტრის თანამშრომლებს უთხარით ყველაფერი, რაც მათ შესახებ იცით.

ფრთხილად იყავი, ზოგიერთმა ადამიანმა შეიძლება საფრთხეში ჩაგაგდოს.

შესაძლოა, შენ ამ ქვეყნიდან წასვლაზე ფიქრობდე, ან ვინმემ შეიძლება სცადოს შენი დარწმუნება გაქცევაში.
ეს შეიძლება საშიში იყოს შენთვის და უარყოფითი შედეგები მოჰყვეს შენი თავშესაფრის განაცხადზე.
ესაუბრე შენს მეურვეს და პერსონალს, აუხსენი მათ სიტუაცია და ისინი შეძლებენ შენთვის რჩევის მოცემას.

რას მიიღებ?

სანამ შენი თავშესაფრის განაცხადის დამუშავებას ელოდები, შენ უზრუნველყოფილი იქნები სხვადასხვა სახის მხარდაჭერითა და მომსახურებით. ამას მიღება **ეწოდება**.

პერსობალი მოგთხოვს რომ დაადასტურო ამ ბროშურაში მოცემული ინფორმაცია. თუ გაქვს რაიმე შეკითხვა ან არ ხარ დარწმუნებული, გთხოვთ, დაუკავშირდე შენს მეურვეს და პერსონალს.

დამატებით ინფორმაციას უახლოეს დღეებში მიიღებთ.

შენ მიიღებ:

- დასაძინებელ ადგილს

- საკვებს

- ტანსაცმელს

- პირადი ჰიგიენის საშუალებებს

- ფული ყოველდღიური ხარჯებისთვის



როგორც ბავშვს, გაქვს უფლება განათლების მიღებაზე და სწავლაზე. პერსონალი გიამბობს საგანმანათლებლო და გასართობ აქტივობებზე, რომლებიც დაგეხმარება სწავლაში, განვითარებაში და ახალი მეგობრების შეძენაში.

შენი ასაკისა და მდგომარეობის მიხედვით, შეიძლება გქონდეს მუშაობის უფლება, თუ ამის სურვილი გაქვს. დამატებითი ინფორმაციისთვის შენი მეურვე და დაწესებულების თანამშრომლები მოგაწვდიან.

უფლება ჯანდაცვაზე

ხელისუფლება უზრუნველყოფს შენთვის საჭირო სამედიცინო მომსახურებას.

პერსონალი და შენი მეურვე გაცნობებენ, თუ გიწევს ექთანთან ან ექიმთან გამოკვლევაში მონაწილეობა.

აცნობე პერსონალს და შენს მეურვეს თუ:

- შენ ხარ ავად, დაშავებული ხარ ან გჭირდება სასწრაფო სამედიცინო დახმარება;
- შენ გაქვს შეზღუდული შესაძლებლობები;
- შენ ძალადობის მსხვერპლი გახდი;
- შენ განიცდიდი ან გრძნობ ვინმეს წინაშე შიშს;
- შენ ხარ ორსულა ან შესაძლოა იყო ორსულად;
- გჭირდება მხარდაჭერა ნებისმიერი სხვა მიზეზის გამო.

თუ ხშირად განიცდი სევდას, ბრაზს, შიშს, შფოთვას ან ძილის პრობლემებს, შეგიძლია მიმართო **ფსიქოლოგს**.

შეგიძლია ენდო ექთანს, ექიმს, ფსიქოლოგს, პერსონალს და შენს მეურვეს. შენი თანხმობის გარეშე, შენს მიერ ნათქვამი არაფერი გაზიარდება ვინმესთან, შენი მეურვის/წარმომადგენლის გარდა. გამონაკლისი მხოლოდ იმ შემთხვევაშია, თუ შენი ან სხვისი სიცოცხლე საფრთხეშია.

სად შეძლებ დარჩენას?

შენი თავშესაფრის მოთხოვნის განხილვის პერიოდში შენი საცხოვრებელი ადგილი დამოკიდებულია შენს ასაკსა და საჭიროებებზე.

შენი მეურვე და პერსონალი გაცნობებს, თუ სად უნდა დარჩე. **შენ მიიღებ მხარდაჭერას და მომსახურებას მხოლოდ ხელისუფლების მიერ განსაზღვრულ ადგილას**.

ძალიან იშვიათ შემთხვევებში, ბავშვები თავსდებიან ცენტრში, სადაც მათ არ შეუძლიათ სურვილისამებრ მოსვლა-წასვლა. ამ სიტუაციაში, შენი მეურვე, იურიდიული მრჩეველი და პერსონალი შეძლებენ შენს დახმარებას.



იურიდიული მრჩეველი არის ადამიანი, რომელიც იცნობს შენი ქვეყნის კანონმდებლობას, შეუძლია შენი სიტუაციის შესწავლა და დახმარების გაწევა.

სადაც არ უნდა იყო, შენ გაქვს უსაფრთხოების უფლება.

არავის აქვს უფლება:

დაგემუქროს

შეურაწყოფა

ზიანი მოგაყენოს

მოგაყენოს

არ აქვს მნიშვნელობა, უცნობი იქნება თუ ნაცნობი ადამიანი.
თუ მშობლებთან, მეურვესთან, დაკავშირებით რაიმე პრობლემა შეგექმნა, შეგიძლია ამის შესახებ შეგვატყობინო.

რა ვალდებულებები გეკისრება?

მნიშვნელოვანია სიმართლის თქმა და ხელისუფლების წარმომადგენლებთან თანამშრომლობა, მაშინაც კი, თუ ზოგჯერ გეშინია და გიჭირს შენი ისტორიის გაზიარება.

შენი მეურვე და დაწესებულების თანამშრომლები დაგეხმარებიან, თუ ისინი შენი სიტუაციის შესახებ იციან.

ქვემოთ მოცემულია რამდენიმე ვალდებულება, რომელიც უნდა დაიცვა.

- ✔ დაემორჩილეთ იმ ადგილის წესებს, სადაც იმყოფები.
- ✖ ნუ დატოვებ იმ ადგილს, სადაც ხელისუფლებამ გითხრა დარჩენა.
- ✔ პატივი ეცი ამ ქვეყნის კანონებს, რომლებსაც აგიხსნის პერსონალი და შენი მეურვე.

რა მოხდება, თუ ვალდებულებებს არ შეასრულებთ?

ხელისუფლება შეაფასებს შენს სიტუაციას და გაცნობებს შენ და შენს მეურვეს, თუ ისინი გადაწყვეტენ რაიმე ქმედების განხორციელებას.

ამ შემთხვევაში, შენ შეგიძლია ღიად ესაუბრო შენს მეურვეს ან პერსონალს და აუხსნა შენი სიტუაცია.

ხელისუფლებას შეუძლია გადაწყვიტოს, რომ:

- მაგალითად, თუ ხელისუფლებასთან არ ითანამშრომლებ, **შესაძლოა ნაკლები მხარდაჭერა მიიღო**
- აგრესიულად მოქმედების შემთხვევაში, შესაძლოა, **მიღებული მხარდაჭერის ნაწილი დაკარგო**

მხარდაჭერის ის ტიპი, რომლის მიღებასაც გააგრძელებთ, შენს პირად სიტუაციასა და საჭიროებებზე იქნება დამოკიდებული.

ამჟამად იმყოფები იტალიაში, რომელიც EU+ის ნაწილია.
EU+ ქვეყნებია:

ევროპული კავშირის (EU) 27 წევრი სახელმწიფო: ავსტრია, ბელგია, ბულგარეთი, ხორვატია, კვიპროსი, ჩეხეთი, დანია, ესტონეთი, ფინეთი, საფრანგეთი, გერმანია, საბერძნეთი, უნგრეთი, იტალია, ლატვია, ლიეტუვა, ლუქსემბურგი, მალტა, ნიდერლანდები, პოლონეთი, პორტუგალია, ირლანდიის რესპუბლიკა, რუმინეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, ესპანეთი, შვედეთი და

4 სხვა ქვეყანა: ისლანდია, ლიხტენშტეინი, ნორვეგია და შვეიცარია.

თავშესაფრის მოთხოვნისა და EU+ ქვეყნებში მოგზაურობის წესები

- შენ უნდა დარჩეიტალიაში და არ გადახვიდე EU+ სხვა ქვეყნებში.
- თუ შენი ოჯახის წევრები ერთ-ერთ ქვეყანაში გყავს, ხელისუფლება გაცნობება შენი ოჯახის გაერთიანების უფლებების შესახებ. ნუ დატოვებ ქვეყანას ისე უბრალოდ.
- თუ სხვაგან გადახვალ, უარყოფითი შედეგები მოჰყვება, რაზეც მოგვიანებით ვისაუბრებ. მაგალითად, სხვა ქვეყანაში მიღების შემთხვევაში ნაკლებ მხარდაჭერას მიიღებ.
- გახსოვდეს, რომ თავშესაფრის განაცხადი უნდა დარეგისტრირდეს EU+ ქვეყანაში, სადაც პირველად ჩახვალ, თუ ხელისუფლება სხვაგვარად არ გაცნობებს.
- ამ ქვეყნებიდან მხოლოდ ერთია პასუხისმგებელი თქვენი თავშესაფრის განაცხადის განხილვაზე. ტალიის უფლებამოსილი ორგანოები აგიხსნიან, რომელი ქვეყანაა პასუხისმგებელი თქვენი განცხადების განხილვაზე.

ამ პროცედურების შესახებ ცალკე ბროშურებში გაიგებ.

რა მოხდება, თუ შენ EU+ სხვა ქვეყანაში ხელისუფლების ნებართვის გარეშე იმოგზაურებ



ტალიაში:

- შესაძლოა, თავშესაფრის მიღების პროცედურა შეჩერდეს

სხვა EU+ ქვეყანაში:

- ხელისუფლებამ შეიძლება გადაწყვიტოს შენი დეპორტაცია იმ EU+ ქვეყანაში, რომელიც დატოვე.

იმ მომენტიდან, როდესაც ხელისუფლება გაცნობებს შენი დეპორტაციის შესახებ გადაწყვეტილების შესახებ,

შენ დაკარგავ გარკვეულ უფლებებზე წვდომას, მაგალითად:

- შენ აღარ მიიღებ გარკვეული ტიპის მხარდაჭერას
- შენ არ გექნება მუშაობის უფლება.

მხარდაჭერის ის ტიპი, რომლის მიღებასაც გააგრძელებ, შენს პირად სიტუაციასა და საჭიროებებზე იქნება დამოკიდებული.

ვის შეუძლია შენი დახმარება თუ არ ეთანხმები ხელისუფლების გადაწყვეტილებას?

შეგიძლია გაესაუბრო შენს მეურვეს და დაუსვა ნებისმიერი შეკითხვა.

შენ და შენს მეურვეს შეიძლება გსურდეთ იურიდიული კონსულტაციის მიღება.

პერსონალი ასევე გაცნობებს არასამთავრობო ორგანიზაციების შესახებ, რომლებსაც შეუძლიათ მოგაწოდონ ინფორმაცია და დახმარება.

შენ შეგიძლია დაუკავშირდე გაეროს ლტოლვილთა სააგენტოს (UNHCR) ნებისმიერ დროს. UNHCR იცავს იმ ადამიანებს, ვინც იძულებული გახდა დაეტოვებინა საკუთარი ქვეყანა.

ჩემი ჩანაწერები

ეს ბუკლეტი შექმნილია მხოლოდ ინფორმაციის მისაწოდებლად. ის თავისთავად არ ქმნის უფლებებს ან ვალდებულებებს. ევროპის კავშირისთვის თავშესაფრის სააგენტომ (EUAA) მიაწოდა ამ მასალის ძირითადი ნაწილი, და ამ ბუკლეტის გამოცემა ან შეცვლა ნებადართულია მხოლოდ ევროკავშირის წევრი ქვეყნებისთვის EUAA-ის მიერ. EUAA არ იღებს პასუხისმგებლობას ამ ბუკლეტში ევროკავშირის წევრი ქვეყნების ან სხვა პასუხისმგებელი მესამე მხარის მიერ შეტანილი ინფორმაციის სიზუსტეზე, შინაარსზე, სრულყოფილებაზე, კანონიერებასა თუ სანდოობაზე. არც EUAA და არც პირი, რომელიც EUAA-ის სახელით მოქმედებს, არ არის პასუხისმგებელი ამ ბუკლეტში მოცემული ინფორმაციის შესაძლო გამოყენებაზე.

© ევროკავშირის თავშესაფრის სააგენტო, 2025